

ବ୍ୟାଙ୍ଗ  
NONFICTION



ପାରକାନ୍ତିମ

ବିଜୟ

ବିଜୟିତ ବାହୁଦିଲ ଶେଖରନା

ଏବଂ ସେବା ଶେଷକବ୍ୟାପିକା ଫଳ୍ପତ୍ରକ

უმბერტო ეკო  
მოწის ხატის შექმნა  
და სხვა შემთხვევითი ტექსტები

Umberto Eco  
COSTRUIRE IL NEMICO  
E altri scritti occasionali

იტალიურიდან თარგმნეს ხათუნა ცხადაძემ, დარეჯან კიკოლიაშვილმა და  
ნათია ბერიშვილმა

© By Umberto Eco, 2011.  
© 2020 La nave di Teseo Editore, Milano  
All rights reserved.

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2015, 2023  
ყველა უფლება დაცულია.

ISBN 978-9941-11-835-7

[www.diogene.ge](http://www.diogene.ge)

## სარჩევი

|  |     |
|--|-----|
| შესავალი .....   | 7   |
| მტრის ხატის შექმნა (მთარგმნელი დარეჯან კიკოლიაშვილი) .....             | 11  |
| აპსოლუტი და ფარდობითობა (მთარგმნელი დარეჯან კიკოლიაშვილი) .....        | 39  |
| ალი მშვენიერია (მთარგმნელი ნათია ბერიშვილი) .....                      | 69  |
| განძის ძიება (მთარგმნელი დარეჯან კიკოლიაშვილი) .....                   | 99  |
| ამჟავებული ნუგბარი (მთარგმნელი დარეჯან კიკოლიაშვილი) .....             | 115 |
| ემბრიონები სასუფეველს მიღმა (მთარგმნელი ხათუნა ცხადაძე) .....          | 131 |
| „ჯგუფი 63“, ორმოცი წლის შემდეგ (მთარგმნელი ხათუნა ცხადაძე) .....       | 143 |
| ჰიუგო, hélas! სიჭარბის პოეტიკა (მთარგმნელი დარეჯან კიკოლიაშვილი) ..... | 177 |
| „ველნება“ და დუმილი (მთარგმნელი ნათია ბერიშვილი) .....                 | 215 |
| წარმოსახვითი ასტრონომია (მთარგმნელი ხათუნა ცხადაძე) .....              | 227 |
| სადაც წახვალ, ქუდიც იქაური დაიხურეო (მთარგმნელი ხათუნა ცხადაძე) .....  | 265 |
| მე ედმონდ დანტესი ვარ! (მთარგმნელი ხათუნა ცხადაძე) .....               | 277 |
| ულისელა გვაელდა... (მთარგმნელი ხათუნა ცხადაძე) .....                   | 295 |
| რატომ ვერ პოულობენ კუნძულს (მთარგმნელი ხათუნა ცხადაძე) .....           | 307 |
| ფიქრები „ვიკილიქსზე“ (მთარგმნელი ხათუნა ცხადაძე) .....                 | 339 |



## შ ე ს ა ვ ა ლ ო

განზრახული მქონდა, ამ კრებულისთვის „თემატური ტექსტები“ დამერქებია, მაგრამ გამომცემლის სამართლიანმა შეშფოთებამ, რომ ასეთი პომპეზურად უბრალო სათაური მკითხველის ყურადღებას ვერ მიიქცევდა, მაშინ, როცა პირველი ესეს სათაური გარკვეული ცნობისმოყვარეობის აღმძვრელი იყო, განაპირობა კიდეც ჩემი საბოლოო არჩევანი.

რას წარმოადგენს თემატური ტექსტი და რით არის იგი კარგი? პირველ რიგში იმით, რომ ავტორს თვითონ კი არ ჰქონდა განზრახული ამგვარი ტექსტის შექმნა, არამედ მას უბიძგეს ამისკენ. ეს ბიძგი შეიძლება სხვადასხვაგვარად მიიღო, ვთქვათ, რომელიდაც თემატური ესეს წაკითხვით ან რომელიმე საუბარში მონაწილეობის მიღებით. ზოგჯერ წამოჭრილი თემა ავტორს წაახალისებს ან აიძულებს დაფიქრდეს ისეთ საკითხზე, რომელსაც, რომ არა ეს შემთხვევა, ყურადღებას არ მიაქცევდა. და უნდა გითხრათ, რომ ხშირად, ამ გზით წამოჭრილი თემა უფრო ნაყოფიერი აღმოჩნდება ხოლმე, ვიდრე საკუთარი ფანტაზიით შობილი.

თემატური, ამა თუ იმ შემთხვევისთვის დაწერილი ტექსტის კიდევ ერთი სიკეთე ის გახლავთ, რომ არ გავალდებულებს, რადაც არ უნდა დაგიჯდეს, ორიგინალური იყო. მისი მიზანი უბრალოა: შეიქციოს როგორც მოსაუბრე, ასევე მკითხველიც. ერთი სიტყვით, თემატური ტექსტი უფრო რიტორიკული ვარჯიშია ბაროკოს სტილში, დაახლოებით ისეთი, როქსანა რომ სთავაზობს კრისტიანს (და მისი საშუალებით სირანოს): „მესაუბრეთ სიყვარულზე“.

ტექსტების სათაურების ქვეშ (ყოველი მათგანი ბოლო ათ-ნლეულშია დაწერილი) მითითებულია თარიღები და ლონისძიებები, რომლებსაც ისინი მიეძღვნა. მაგრამ ხაზი რომ გავუსვა მათ თემატურ ხასიათს, შეგახსენებთ, რომ „აპსოლუტი და ფარდობითობა“ და „ალი მშვენიერია“ წავიკითხე „მილანეზიანას“ საღამოებზე, რომელებიც სწორედ რომ თემატური ლონისძიებებია და მშვენიერი შესაძლებლობა მომეცა, მელაპარაკა აბსოლუტზე მაშინ, როცა ცხარე პოლემიკა მიმდინარეობდა რელატივიზმზე, ხოლო რაც შეეხება „ალს“, ეს თემა კარგი გამოცდა გამოდგა, რადგან ვერასდროს ვითიქრებდი, რომ მომიწევდა ამ საკითხით (მხურვალედ) დაინტერესება.

„ემბრიონები სასუფეველს მიღმა“ წარმოადგენს მოხსენებას, რომელიც 2008 წელს ბოლონიაში გამართულ სამეცნიერო ეთიკი-სადმი მიძღვნილ კონფერენციაზე წავიკითხე; მოგვიანებით ეს ტექსტი შევიდა ფრანგესკო გალოფაროს რედაქციით გამოსულ წიგნში „ეთიკა სამედიცინო კვლევებში და ევროპული კულტურული იდენტობა“ (ბოლონია, CLUEB, 2009). მოხსენებით „ჯგუფი 63“, ორმოცი წლის შემდეგ “გაიხსნა კონფერენცია, რომლის თემაც არეკლილია ჩემი გამოსვლის სათაურში.

მოსაზრებები სიჭარბის პოეტიკის შესახებ ჰიუგოს შემოქმედებაში მოკლედ გადმოსცემს წერილობით და სიტყვიერ სამ სხვადასხვა გამოსვლას, ხოლო სახალისო წერილი წარმოსახვითი ასტრონომიების თემაზე უტიფრად წარვადგინე ორი სხვადასხვა ვერსიით ორ სხვადასხვა – ერთი ასტრონომების, მეორე კი გეოგრაფების კონფერენციაზე.

„განძის ძიება“ აერთიანებს ჩემს რამდენიმე გამოსვლას ამ თემაზე, ხოლო „ამჟავებული ნუგბარი“ წავიკითხე პიერო კამპორეზი-სადმი მიძღვნილ კონფერენციაზე.

„ველინები და დუმილი“ თითქმის ექსპრომტად წარმოვთქვი იტალიელი სემიოლოგების ასოციაციის კონფერენციაზე 2009 წელს.

კრებულის სამი ესე ნამდვილი თავშესაქცევი ტექსტებია. სამივე მათგანი სამ სხვადასხვა წელს დაიბეჭდა „ბიბლიოფილის ალ-

მანახში“. რა აერთიანებთ მათ დანარჩენ ჩანაწერებთან? კოლაჟის ეს სამი მცდელობა შთამაგონა ხსენებული აღმანახის სამმა თე-მამ ანუ „დროში მოგზაურობებმა“: „უტოპიის ახალი კუნძულების ძიებამ“ მიკარნახა, დამეწერა ესე „სადაც წახვალ, ქუდიც იქაური დაიხურეო“ (2007), „სენტიმენტალურმა წიაღსვლებმა სიყმაწვილის დროინდელ წიგნებში“ მიპიძგა, შემექმნა ესე „მე ედმონდ დანტესი ვარ“ (2008), ხოლო „დაგვიანებულმა რეცენზიებმა“ – ესე „ული-სელა გვაკლდა“ (2009). 2011 წელს „ბიბლიოფილის აღმანახშივე“ დაიბეჭდა „რატომ ვერ პოულობენ კუნძულს“, რომელიც იმეორებს 2010 წელს სარდინიაზე, კარლოფორტეში, კუნძულების თემაზე ჩა-ტარებული კონფერენციის მასალას.

„ფიქრები „ვიკილიქსზე“ დაწერილია ორი სტატიის საფუძველ-ზე: ერთი მათგანი დაიბეჭდა „ლიბერასიონში“ (2010 წლის 2 დეკემ-ბერი), მეორე – „ესპრესოში“ (2010 წლის 31 დეკემბერი). დაბოლოს, რაც შეეხება კრებულის პირველ ტექსტს: „მტრის ხატის შექმნა“ წა-ვიკითხე 2006 წლის მაისში კლასიკოსებისადმი მიძღვნილ შეკრება-ზე, ივანო დიონიჯიმ რომ მოაწყო ბოლონიის უნივერსიტეტში. მარ-თალი გითხრათ, მას შემდეგ, რაც ჯან ანტონიო სტელამ ეს თემა ბრწყინვალედ განავითარა თავის სამასზე მეტ გვერდიან ნაშრომში „ზანგები, პედერასტები, ურიები. მარადიული ომი სხვასთან“ (მი-ლანი, გამომცემლობა „რიცოლი“, 2009), ჩემი ოცი გვერდი, ცოტა არ იყოს, სიტყვაძუნნად გამოიყურება, მაგრამ რა ვქნა? დამენანა მათი გადაგდება დავთწყების მორევში, რაკი მტრის ხატი დღემდე კვლავ და კვლავ შეუსვენებლივ იქმნება.



## **მტრის ხატის შექმნა**

კლასიკოსი ავტორებისადმი მიძღვნილი საღამოების ფარგლებში ბოლონიაში, 2008 წლის 15 მაისს წაკითხული ლექცია, რომელიც დაიბეჭდა ივანო დიონიჯის რედაქციით გამოსულ კრებულში „ხოტბა პოლიტიკას“, მილანი, 2009.



წლების წინ ნიუ-იორქში ერთი ტაქსის მძლოლი გამომელაპარაკა. სახელით ვერ მიხვდებოდი, წარმოშობით საიდან იყო, მაგრამ მითხრა, პაკისტანელი ვარო. სადაურობა მკითხა. იტალიელი ვარ-მეთქი. მერე, რამდენი ხართო, და გაოცდა, როცა გაიგო, რომ ასე ცოტანი ვართ და თან ინგლისური ჩვენი ენა არ არის. ბოლოს, ჩვენი მტრების ვინაობით დაინტერესდა.

„ბატონო-მეთქი?“

მშვიდად ამიხსნა, რომ აინტერესებდა სადავო ტერიტორიების, ეთნიკური სიძულვილის, საზღვრების გაუთავებელი დარღვევისა და სხვა ასეთი მიზეზების გამო რომელ ხალხებთან გვიომია საუკუნეების განმავლობაში. ვუთხარი, არავის ვეომებით-მეთქი. მაშინ მოთმინებით დააზუსტა, რომ ჩვენი ისტორიული მოწინააღმდეგების ვინაობა აინტერესებდა, ვისაც ვულეტდით და ვინც გვულეტდა. გავუმეორე, მტრები არ გვყავს, ხოლო ბოლო ომი ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც გადავიხადეთ, რომელიც, სხვათა შორის, დავიწყეთ ერთი და დაგამთავრეთ სულ სხვა მტრის წინააღმდეგ-მეთქი.

არ მოეწონა. როგორ შეიძლება ხალხი არსებობდეს, რომელ-საც მტრი არ ჰყავს? ტაქსიდან ჩასვლისას ორი დოლარით მეტი გასამრჯელო დავუტოვე – ჩვენი უნიათო პაციფიზმით მიყენებული

ზარალის საზღაური. და მერელა მომიგიდა თავში, რა უნდა მეთქვა. არ არის მართალი, თითქოს იტალიელებს მტრები არ ჰყავთ. არ ჰყავთ გარეშე მტრები, ყოველ შემთხვევაში, ვერასდროს თანხმდებან მათი ვინაობის გარკვევაში, რადგან ერთმანეთთან არიან მარადიულ ოში ჩაბმულნი: პიზა – ლუკასთან, გველფები – გიბელინებთან, ჩრდილოელები – სამხრეთელებთან, ფაშისტები – პარტიზანებთან, მაფია – სახელმწიფოსთან, მთავრობა – სასამართლო ხელისუფლებასთან, და სამწუხაროა, რომ ტაქსისტთან საუბრის დროს ჯერ კიდევ არ იყო დაცემული პროდის ორი კაბინეტი, თორემ იოლად ავუხსნიდი, რას ნიშნავს მეგობრის მიერ ნასროლი ტყვიით ბრძოლის წაგება.

თუმცა უკეთ რომ დავფიქრდი ამ საკითხზე, მალე დავრწმუნდი: ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უძედურება, ბოლო სამოცი წლის განმავლობაში მაინც, სწორედ ის არის, რომ ნამდვილი მტერი არ გვყოლია. იტალიის გაერთიანება ავსტრიელ დამყრობელთა მეშვეობით გახდა შესაძლებელი, ანუ, როგორც ბერშემ<sup>1</sup> ინება თქმა, უხეში და უსიამოვნო ტევტონის წყალობით. მუსოლინიმ მაშინ შეძლო ხალხის მხარდაჭერით ესარგებლა, როდესაც წაგვაქეზა შური გვეძია „ინვალიდი გამარჯვების“<sup>2</sup>, დოგალისა და ადუაში<sup>3</sup> განცდილი დამცირების, ასევე „იუდეველი დემოკრატო-პლუტოკრატების“ გამო, უსამართლო სანქციებით სულს რომ გვხდიდნენ. დააკეირდით, რა დაემართა შეერთებულ შტატებს, როდესაც „ბოროტების იმპერია“ დაემხო და დიდი მტერი – საბჭოეთი – დაიშალა. ამერიკელებს იმ ზომადე დაემუქრათ იდენტობის დაკარგვის საფრთხე, რომ ბენ-ლადენმა, რომელსაც საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ბრძო-

<sup>1</sup> ჯოვანი ბერშე (1783-1851) – პოეტი, იტალიური რომანტიზმის მანიფესტის ავტორი, იტალიის გაერთიანების აქტიური მონაწილე.

<sup>2</sup> ტერმინი „ინვალიდი გამარჯვება“ ეკუთვნის გაბრიელე დ'ანუნციოს. იგულისხმება ხაციონალისტურ წრეებში გავრცელებული უკმიყოფილება იმის გამი, რომ იტალიას, 1918 წელს, ანტანტის ქვეყნების სიმართვის პირველ მსოფლიო ომში განეული დახმარების ადეკვატური საზღაური ტერიტორიების სახით არ მიუღია.

<sup>3</sup> იგულისხმება ეთიოპიაში იტალიელთა მარცხი დოგალისა (1887) და ადუას (1896) ბრძოლები.

ლის დროიდან მათგან ბევრი სიკეთე ახსოვდა, ამჯერად თვითონ გაუწოდა წყალობის ხელი ამერიკას, რითაც ბუშს საშუალება მისცა შეექმნა ახალი მტრის ხატი და ამით განემტკიცებინა როგორც ეროვნული იდენტობის გრძნობა, ისე საკუთარი ძალაუფლება.

მტრის ყოლა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ იმისთვის, რომ განვსაზღვროთ ჩვენი მეობა, არამედ იმისთვისაც, რომ შევქმნათ დაბრკოლება, რომლის პირისპირ საკუთარ ფასეულობათა სისტემასაც გამოვცდით და ჩვენს საკუთარ ლირებულებასაც წარმოვაჩენთ. ამიტომ, თუ მტრი არ არსებობს, ის უნდა შევქმნათ. ნახეთ, რა არხეინად ირჩევდნენ მტრად ვერონელი სკინჰედები ნებისმიერს, ვინც მათ ჯგუფს არ ეკუთვნოდა, ოღონდ კი თვითონ ჯგუფი რქმეოდათ. ჰოდა, ამ სალამოს ჩვენ გვაინტერესებს არა იმდენად სახიფათო მტრის ამოცნობის თითქმის ბუნებრივი მოვლენა, რამდენადაც მისი ხელოვნურად შექმნის და დემონიზების პროცესი.

კატილინას წინააღმდეგ მიმართულ სიტყვაში (II, 1-10) ციცერონს თითქოს არ უნდა დასჭირვებოდა მტრის ხატის შექმნა, რადგან შეთქმულების არსებობის უტყუარი საბუთები ხელთ ჰქონდა, მაგრამ ის მაინც ქმნის ხატს, როდესაც მეორე სიტყვაში სენატორებს აღუნერს კატილინას მეგობრებს, და მათი მორალური გახრენილების ათინათს მთავარ ბრალდებულზე არეკლავს.

„ქეიფობენ მხართეძოზე წამოწლილნი, უტიფარ დიაცებთან ერთად, ღვინით გაბრუულნი, სასმელ-საჭმლით გულმოყირჭებულნი, ნელსაცხებლებით აქოთებულნი, გირლიანდებით მოკაზმულნი, გარყვნილებისგან ქანცგანყვეტილნი, და იქადნიან, რომ კეთილშობილ მოქალაქეებს ამოულეტენ და ქალაქს გადაბუგავენ. [...] თქვენ მათ ხედავთ გამოპრანჭულებს, კონტად თმადავარცხნილებს, ზოგი მათგანი უწვერულვაშოა, ზოგს ლამაზად აქვს წვერი დაყენებული, გრძელსახელოებიან, ქუსლამდე დაცემულ ტუნიკებს ატარებენ, მოსასხამებში არიან გახვეულნი და არა ტოგებში. [...] ეს ყმაწვილები მოხდენილი

გარეგნობისანი არიან, შნოიანნი, კარგი მოარშიყენი. მაგრამ მათ ხანჯლის ტრიალი და ფიალაში შხამის გარევაც ისევე ემარჯვებათ, როგორც ცეკვა და კითარაზე დაკვრა“.<sup>4</sup>

ციცერონის მორალისტობას მოგვიანებით გამოეხმაურება ნეტარი ავგუსტინე, რომელიც რისხვად დაატყდება თავს წარმართებს, რაკი ისინი, ქრისტიანებისგან განსხვავებით, ცირკში, თეატრში და ამფითეატრში დადიან და ორგიერს მართავენ. მტერი განსხვავებულია და მისი ცხოვრების წესი ჩვენი არ არის.

ანტონომაზიით განსხვავებული – უცხოელია. ჯერ კიდევ რომაულ ბარელიეფებზე ბარბაროსი გამოსახულია წვერით და ბრტყელი ცხვირით, ხოლო თავად სიტყვა – „ბარბაროსი“ მიანიშნებს მისი მეტყველების და, შესაბამისად, აზროვნების დეფექტზე.

და მაინც, იმთავითვე მტრის ხატად ჩამოყალიბდა არა იმდენად განსხვავებული, ვისგანაც პირდაპირი საფრთხე გვემუქრება (როგორც ბარბაროსთა შემთხვევაში), არამედ ის, რომელსაც ვინმე დაინტერესებული გვიხატავს საშიშად, თუნდაც მისგან პირდაპირი საფრთხე არც გვემუქრებოდეს, და გვიხატავს იმგვარად, რომ მისი სახიფათოობა კი არ აქცევს განსხვავებულად, არამედ განსხვავებულობა ხდება მისი სახიფათოობის ნიშანი.

აი, რას ამბობს ტაციტუსი ებრაელთა შესახებ: „რაც ჩვენთვის წმინდაა, იუდეველთათვის არაწმინდაა, ის კი, რაც ჩვენთვის უწმინდურია, მათთვის სჯულიერია“ (როგორ არ გავიხსენოთ ანგლოსაქსთა ზაზღი ბაყაყისჭამია ფრანგების მიმართ, ხოლო გერმანელებისა – იტალიელების მიმართ, ნიორს რომ ჭარბად იყენებენ). ებრაელები „უცნაურები“ არიან, რადგან ერიდებიან ღორისს ხორცს, პურში საფუარს არ ურევენ, უქმობენ მეშვიდე დღეს, მხოლოდ ერთმანეთზე ქორნინდებიან, წინადაიცვეთენ (დააკვირდით!) არა იმიტომ, რომ ეს ჰიგიენური ან რელიგიური წესია, არამედ იმიტომ, რომ ხაზი გაუსვან თავიანთ განსხვავებულობას, მიცვალებულებს

<sup>4</sup> იამზე გაგუას თარგმანი.

მიწაში მარხავენ, და პატივს არ მიაგებენ ჩვენს კეისრებს. როდე-  
საც ვაჩვენებთ, რამდენად განსხვავებულია ვინძეს (ამ შემთხვევა-  
ში ეპრაელების) ზოგიერთი რეალურად არსებული წეს-ჩვეულება  
(წინადაცვეთა, შაბათის უქმობა), ამის შემდეგ შეიძლება რეალური  
პორტრეტი წარმოსახვითი შტრიხებითაც გავამდიდროთ: თაყვანს  
სცემენ ვირის გამოსახულებას, უპატიოდ ექცევიან მშობლებს, შვი-  
ლებს, ძმებს, სამშობლოს და ღმერთებს.

პლინიუსი რამე განსაკუთრებულ ბრალს ვერ უყენებს ქრისტია-  
ნებს და იძულებულია აღიაროს, რომ ისინი სჩადიან არა უკეთურ,  
არამედ მხოლოდ ქველ საქმეებს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც  
სასიკვდილო განაჩენი გამოაქვს მათვის, რადგან მსხვერპლს არ  
სწირავენ იმპერატორს. სწორედ ეს სიჯიუტე, რასაც ამ თავისითა-  
ვად ცხად და ბუნებრივ საქმეში იჩენენ, აქცევს ქრისტიანებს გან-  
სხვავებულად.

მოგვანებით, ხალხთა შორის კონტაქტების განვითარებასთან  
ერთად, მტრის ახალ ტიპად იქცევა არა მარტო ის, ვის განსხვა-  
ვებულობასა და უცნაურობასაც შორიდან ვხედავთ, არამედ ისიც,  
ვინც ჩვენს შორისაა, როგორც დღეს ვიტყოდით, ექსტრაკომუნი-  
ტარი ემიგრანტი<sup>5</sup>, რომელიც როგორლაც განსხვავებულად იქცევა  
ან ჩვენს ენაზე ცუდად მეტყველებს, იუვენალის სატირაში წარ-  
მოდგენილი ცბიერი, გაქნილი, უტიფარი და ავხორცი გრეკულის  
მსგავსად, რომელსაც შეუძლია მეგობრის ბებიაც კი არ დაინდოს  
და ტახტზე წამოაქციოს.

ყველა უცხოთა შორის უცხო, განსხვავებული ფერის გამო,  
არის ზანგი. სიტყვა „ზანგზე“ ბრიტანული ენციკლოპედიის 1798  
წლის პირველ ამერიკულ გამოცემაში ვკითხულობთ:

„ზანგთა კანის შეფერილობა სხვადასხვანაირია, მაგრამ სახის  
ნაკვთებით ყველანი ერთნაირად განსხვავდებიან დანარჩენი  
ადამიანებისაგან. მათვის დამახასიათებელია მრგვალი სახე,

<sup>5</sup> ეს ბიუროკრატიული ტერმინი იტალიაში გამოყენებულია იმ ემიგრანტების გამო-  
საყოფად, რომლებიც წარმოშობით ევროპის ნეკრი ქვეყნებიდან არ არიან.

მაღალი ყვრიმალები, დაქანებული შუბლი, მოკლე, ფართო და დაჭყლეტილი ცხვირი, მსხვილი ტუჩები, პატარა ყურები; უსახურობა და ფორმის ულაზათობა მათი გარეგნობის დამახასიათებელი ნიშნებია. ზანგ ქალებს ძლიერ ჩავარდნილი წელი და ვეებერთელა დუნდულები აქვთ, რაც მათ უნაგირის ფორმას აძლევს. ყველაზე მძიმე მანკიერებები თითქოს ბედისწერად დაჰყოლია ამ უბედურ რასას: როგორც ამბობენ, მცონარებამ, ღალატმა, შურისმაძიებლობამ, სისასტიკემ, უსირცხვილობამ, ქურდობამ, სიცრუემ, ბილნისიტყვაობამ, ავხორცობამ, სულმოკლეობამა და მოუთოვავმა სიფიცხემ მათში ბუნებითი სჯულის კანონები ამოძირკვა და სინდისის მამხილებელი ხმა დაადუმა. მათთვის უცხოა ყოველგვარი თანაგრძობა. ისინი საშინელი მაგალითი არიან იმისა, როგორ იხრწება ადამიანი, როდესაც საკუთარ ნებაზეა მიშვებული“.

ზანგი მახინჯია. მტერი მახინჯი უნდა იყოს, რაკი მშვენიერება კეთილთან იგივედება. მშვენიერების ერთ-ერთი ფუნდამენტური ნიშანი ყოველთვის იყო ის, რასაც შუა საუკუნეები „*integritas*“ – „*სიმრთელეს*“ დაარქმებს (იგულისხმება ყოველივე იმის ქონა, რაც სახეობის საშუალო წარმომადგენელს მოეთხოვება; ადამიანი მახინჯად ითვლება, თუ აკლია კიდური, თვალი, საშუალოზე დაბალი ტანისაა ან კანის „არაადამიანური“ ფერი აქვს). და აი, მყისიერად ხელთ გვაქვს მტრის გამოსაცნობი მოდელი ცალთვალა გიგანტი პოლიფემიდან ჯუჯა მიმემდე. პრისკე პანიონელი ჩვენი წელთაღრიცხვის V საუკუნეში ატილას აღწერს, როგორც ტანდაბალ, მკერდაგნიერ და დიდთავა მამაკაცს, რომელსაც წვრილი თვალები, ვიწრო და ჭალარა წვერი, ბრტყელი ცხვირი და (უმნიშვნელოვანესი შტრიხი) მუქი ფერის კანი აქვს. საინტერესოა, როგორ ემსგავსება ეშმაკის ფიზიონომიას ატილას სახე ხუთ საუკუნეზე მეტი ხნის შემდეგ როდოლფუს გლაბერთან: ტანი – დაბალი, კისერი – წვრილი, გალეული სახე, ნახშირივით შავი თვალები, ნაოჭებით დაღარული შუბლი, ბრტყელი ცხვირი, გამოწეული პირი, მსხვილი

ლაშები, წვრილი და გრძელი ნიკაპი, თხასავით წვერი, აცქვეტილი და წაწვეტებული ყურები, გაფშეკილი და ანენილი თმა, ეშვებივით კბილები, წონოლა თავი, ამობურცული მკერდი, კუზიანი ზურგი (ქრონიკები, V,2).

968 წელს იმპერატორ ოტონის მიერ ბიზანტიაში გაგზავნილი ელჩის, ლიუტპრანდო კრემონელის აზრით, ბიზანტიელებს აკლიათ „integritas“:

„აღმოვჩნდი ნიკიფორეს – ურჩხულის მსგავსი არსების, ვეება-თავიანი ქონდრისკაცის წინაშე, რომელიც თავისი უწვრილესი თვალებით თხუნელას მოგაგონებთ და რომელსაც ამახინვებს მოკლე, ფართო, ხშირი და ჭალარა წვერი; აქვს ერთი ციცქა კისერი... ეთიოპელის კანის ფერი (ღამით მასთან შეყრას რომ არ ინატრებ), ტიკივით ფაშვი, ჩამომხმარი უკანალი, ტანთან შედარებით მეტისმეტად გრძელი წვივები, არის მოკლეფეხე-ბა, ბრტყელტერფიანი, აცვია ძველისძველი, გლეხური სამოსი, ხმარებისგან აყროლებული და გახუნებული.“

აყროლებული. მტერი ყოველთვის ყარს, და ვინმე ბერიონი მსოფლიო ომის დასაწყისში გამოცემულ თავის თხზულებაში „La polychrésie de la race allemande“<sup>6</sup> (1915) ამტკიცებდა, რომ საშუა-ლო გერმანელი გამოყოფს საშუალო ფრანგზე მეტი რაოდენობისა და უარესი სუნის ფერალიებს. ბიზანტიელი ყარდა, მაგრამ ყარდა სარკინოზიც ფელიქს ფაბრის წიგნში „მოგზაურობა წმინდა მინაზე, არაბეთსა და ეგვიპტეში“ (XV ს.):

„სარკინოზებს რაღაც საშინელი ზინზლის სუნი ასდით, ამი-ტომ სხვადასხვა წესით გამუდმებით განიბანებიან, და რადგან ჩვენ არ ვყარვართ, სანინააღმდეგო არაფერი აქვთ, როდესაც მათთან ერთად ვბანაობთ. თუმცა ასე სულგრძელად როდი ეპყრობიან ებრაელებს, რომლებიც მათზე უარესად ყარან. [...]“

<sup>6</sup> „გერმანული რასის სიბინძურის შესახებ“ (ფრ.).

ასე რომ, ზინზლიან სარკინოზებს უხარიათ ჩვენნაირ ხალხთან ყოფნა, რომელიც არ ყარს.“

მყრალი სუნი ასდით ჯუზეპე ჯუსტის<sup>7</sup> ავსტრიელებსაც (გაიხ-სენეთ ციტატა ლექსიდან: „თქვენო აღმატებულებავ, რა ავი თვა-ლით მიბლვერთ“):

„ტაძარი გაჭედილია ჩრდილოელი ჯარისკაცებით. ბოჭემიელები და ხორვატები იქნებიან, ვაზის ჭიგოებივით დარჭობილან. ვალიარებ, ამ ბრძოს ნახვაზე ზიზღმა დამძლია, უკან დავიხივ. თქვენი თანამდებობა ხელს გიშლით, იგივე იგრძნოთ მათ მი-მართ, მაგრამ ჩემთვის ყველაფერი, საკურთხეველში ანთებული კელაპტრებიც კი, უკაცრავად, მაგრამ ღორის ქონივით ყარს.“

არ შეიძლება არ ყარდეს ბოშა, რადგან ლომბროზოს სწავლებით, იგი ლეშით იკვებება („ბოროტმოქმედი კაცი“ 1876, 1,II)!. და ასევე ყარს ჯეიმს ბონდის ანტაგონისტი, როზა კლები, წიგნიდან „სიყვარულით, რუსეთიდან“. ეს ქალი მხოლოდ რუსი და საბჭოთა კი არ არის, არამედ ლესბოსელიცაა:

„ტატიანამ კარი გაალო და ვიდრე იდგა და თვალებში უყურებდა ქალს, რომელიც შეუ ითახში, ნათურით განათებულ მრგვალ მა-გიდასთან იჯდა, უცებ გაიაზრა, სად ეგრძნო ეს სუნი. მოსკოვის მეტროს სუნი იყო, ცხელ სალამოს რომ შეიძლება იგრძნო, იაფ-ფასიანი სუნამოს სუნი, რომელიც ცხოველურ ობშივარს ფარავს. რუსეთში ხალხი პირდაპირ ცურავს სუნამოში, მიუხედავად იმი-სა, ნაბანავებია თუ არა, და მით უფრო მაშინ, თუ არ უბანავია [...] საძინებლის კარი გაილო და ზღურბლზე კლები გამოჩნდა [...] ნარინჯისფერი გამჭვირვალე კრეპდეშინის სალამური ეცვა... გახსნილი პერანგიდან მანეკენის კლასიკური პოზით გამოეჩარა

<sup>7</sup> ჯუზეპე ჯუსტი (1809-1850), იტალიელი პოეტი-სატირიკოსი, იტალიის გაერთი-ანების აქტიური მომხრე (ჯუსტი აქ მიანაშებს ავსტრია-უნგრეთის ბატონობის პერიოდზე და უცხოელი ჯარისკაცების ჩვევაზე, რომლებიც ულვაშებს ქონით იპოხავდნენ).